ხელშეკრულება 27/1

(საექსკურსიო მომსახურების გაწევის შესახებ)

ქ. თბილისი 1 დეკემბერი 2011 წელი

სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად" , წარმოდგენილი სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის ივანე ვაშაყმაძის სახით და სიპ გორის №10 საჯარო სკოლა, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად" წარმოდგენილი დირექტორის გელა ჯაფარიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები" ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სასკოლო ინიციატივების წახალისების" ქვეპროგრამის ფარგლებში გამოვლენილი გამარჯვებული პროექტის „მეგობრობა გრძელდება და ფართოვდება" ბიუჯეტის შესაბამისად „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისათვის" სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს სტრუქტურაში შემავალი უფლისციხის ისტორიულ – არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალში საექსკურსიო მომსახურების გაწევა.

1.2. შესყიდვის კოდი CPV 92521000

2. მომსახურების ტარიფები და ხელშეკრულების ფასი

2.1. „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისათვის" გასაწევი მომსახურების ტარიფები ამ ხელშეკრულების დანართ №1-ის შესაბამისად (სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ში მომსახურების ტარიფების დადგენის შესახებ" სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება)

2.2. ხელშეკრულების ღირებულება 2.1. პუნქტში განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად შეადგენს: 4 მოზრდილი 12 ლარი, 58 მოსწავლე 58 ლარი, გიდის(ექსკურსიამძღოლის) მომსახურება 15 ლარი, სულ 85(ოთხმოცდახუთი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანგარიშსწორების ვადა განისაზღვრება მომსახურების გაწევიდან 20 კალენდარული დღით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების რაოდენობისა და ტარიფის შესაბამისად რაც დასტურდება ორივე მხარის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2. „მიმწოდებლის" მხრიდან მირება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს უფლისციხის ისტორიულ – არქიტექტურული მუსეუმ-ნაკრძალის მმართველი ზურაბ სადაღაშვილი .

3.3. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) 2011 წლის 28 დეკემბერს შემსყიდველს გაუწიოს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება უნაკლოდ და ხარისხიანად;

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

გ) წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6. დავების გადაწყვეტა

6.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

6.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

7.2 ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების შესაბამისად ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

9. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან ფორს–მაჟორის შემთხვევაში.

10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი – შემსყიდველს.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“

მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №5
ტელ: (+995 32) 93-13-49
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №901913700 ს.ს „საქართველოს ბანკი“ ცვ/ფ, ბ/კოდი: 220101502,
ს/კ - 204562311

სსიპ გორის №10 საჯარო სკოლა
გორი თარხნიშვილის ქ. №22

ს/კ. 218016741

სს პროკრედიტ ბანკი გორის ფილიალი
ბანკის კოდი 220101950

ა/ა 340801011400014

გენერალური დირექტორის მოადგილე
ივანე ვაშაყმაძე

დირექტორი: გ. ჯაფარიძე